აჭარის რეგიონში მოცემული მონეტისთვის შესწავლილი მაქვს აჭარის 168 სოფელში გამდინარე 184 მდინარე თუ ნაკადული რომელთა შორისაც 75-ში გვხვდება E.coli-ით დაბინძურება (ცხრ. 1). აღარაფერს ვამბობ მდინარის პირა ნაგავსაყრელებზე, რომლებიც მხოლოდ აჭარის რეგიონისთვის თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში გვხვდება. აჭარის რეგიონში გვაქვს წყლის ქიმიური დაბინძურების ლოკაციები, ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მრავალწლიანი მუშაობის შედეგად მდინარეებში, გუბის წყალი და ბარცხანა ცხრ.1).

ცხრილი 1

მუნიციპალიტეტი	დაბინძურებული წყაროს რაოდენობა	დაუბინძურებელი წყაროს რაოდენობა	სულ
ქობულეთი	12	25	37
ხელვაჩაური	23	24	47
ქედა	10	15	25
შუახევი	14	23	37
ხულო	16	22	38
სულ	75	109	184

<p>სოფელი სკვანა</p>	<p>სოფელი კალოთა</p>
<p>მდინარე ჩოლოქში განთავსებული მოტივტივე ნარჩენების დამჭერი ბარიერი</p>	<p>ნავთობით დაბინძურების კერა მდინარე ბარცხანის კალაპოტში</p>

განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაა ზღვისპირა ტერიტორიაზე, სადაც ხდება მდინარეთა აუზების მთელ ფართობზე დაგროვებული ნარჩენებისა ჩამოტანა. აქ ზღვის შესართავთან მოწყობილია მოტივტივე ნარჩენების შემაკავებელი ბარიერები, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ეხმარება მდინარის წმენდას.

დაბინძურებული მდინარის წყალი პრობლემას უქმნიან მოსახლეობას. მდინარე დაბინძურება პრობლემა კვლავ გადაუჭრელად დგას საზოგადოების წინაშე. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ზემოთ ნახსენები 168 სოფელში არის 14 ისეთი სოფელი, რომელსაც ზედაპირული წყალი არ აქვს და მხოლოდ გრუნტის წყლები გამოიყენება სასმელად თუ სარწყავად, ხოლო 11 სოფელში არც გრუნტის წყლები არ არის და ადგილობრივები წყალს მეზობელი სოფლებიდან ეზიდება.

ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების მიხედვით ზედაპირზე გამდინარე წყლის ერთერთი მნიშვნელოვანი დამაბინძურებელი ძირითადად სოფლის ტიპის დასახლებებში მსხვილრქოსანი ცხოველების, საქონლის (ნეხვი) განავალი აბინძურებს წყალს ლაქტოზა-დადებითი ნაწლავის ჩხირით (E.coli) ისევე, როგორც ადამიანი ანთროპოლოგიური ნარჩენებით (ცხრ. 3).



ზედაპირული წყლის ეკოსისტემების დაბინძურების შემცირება არის გლობალური მიზანი, რომლის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება სტრუქტურული ცვლილება წყლის გამოყენების, მართვისა და განკარგვის გლობალურ ნიმუშებში, რომლებიც დაკავშირებულია არამდგრადი ცხოვრების გზებთან. ზოგადად, კანონები უნდა გაძლიერდეს ყველა დონეზე გარემოს დაცვის მიზნით. გარდა ამისა, უნდა მოხდეს განათლების ხელშეწყობა, რომელიც ცნობიერების ამაღლების გარდა, ბუნების პატივისცემის ღირებულებებს ნერგავს.

დასკვნა

ზღვისპირა მცენარეულობა მონაწილეობს საკვებ ნივთიერებების ციკლში, ეკოლოგიურ სანიტარულ პირობებში და ამსუბუქებს კლიმატის ცვლილების შედეგებს. ამიტომ მნიშვნელოვანია მათი კონსერვაციისა და დაცვის ხელშეწყობა. სწორედ ამიტომ საჭიროა:

1. მდინარის დაბინძურების ძირითადი წყაროს, ურბანული და სამრეწველო ცენტრების წყალარინების ეფექტის შესამსუბუქებლად, დაბინძურებული წყლის სწორად დამუშავება გამწმენდი ნაგებობების დამონტაჟების გზით. გამწმენდი ნაგებობებში მოსაწყობია სხვადასხვა სისტემა, რაც დამოკიდებულია დამაბინძურებლების ხასიათზე. ეს მოიცავს მყარი ნარჩენების დეკანტაციას, წყლის ფილტრაციას, ქიმიური დეზინტამინაციის დამუშავებას და ბიორდიზაციას.
2. მდინარის დაბინძურებისთანავე უნდა იქნას მიღებული სარეაბილიტაციო ზომები. ეს ზომები განსხვავდება დამაბინძურებლის ტიპის მიხედვით. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა მექანიკური დასუფთავება. ამისათვის მდინარეებში გადაყრილი მყარი ნარჩენების მოპოვება ხორციელდება შემაკავებელი, სარჩილავი და შეგროვების აღჭურვილობა/დანადგარის გამოყენებით.
3. კიდევ ერთი ყველაზე გავრცელებული პრაქტიკაა ფიტორმედიაცია. მცენარეთა ზოგიერთი სახეობა გამოიყენება, რომლებიც ეფექტურია დაბინძურებული მდინარეებიდან მძიმე მეტალების მოპოვებაში. მაგალითად, *Eichhornia crassipes* (წყლის შროშანი) იყენებენ

კადმიუმის და სპილენძის ასათვისებლად. ანალოგიურად, სიმბიოსიტემა ლურჯ-მწვანე წყალ-მცენარე აზოლა-ანაბენა და აზოლაი. იგი გამოიყენება დარიშხანით და სხვა მეტალოიდებით დაბინძურებული მდინარეების ბიორემედიაციისთვის.

4. ზოგიერთი სახეობის ბაქტერია და სოკოების გარკვეული წარმოებულები გამოიყენება მდინარეებში დამაბინძურებელი ნაერთების დეგრადაციისთვის (ბიოდეგრადაცია). ბაქტერიების სახეობები აცინტობაქტერი, ფსევდომონასი იმიკობაქტერია ისინი ადეგრადირებენ ალკანებს, მონოარომატულ და პოლიარომატულს შესაბამისად.

5. მდინარეთა ისეთ ლოკაციებზე სადაც მსხვილრქოსანი პირუტყვის მიერ ხდება წყლის დასაღვეად მისვლა, საჭიროებს წყლის დასაღვეების მოწყობას. აჭარაში მსგავს კონსტრუქციას „ავაზანი“-ს ეძახიან.

ლიტერატურა

1. შ.პ.ს. „MACS-ის წარმომადგენლობა საქართველო“-ს 2022 მესამე კვარტლის რეპორტი.
2. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის მართვის გეგმის დანართი: სანაპირო და გარდამავალი წყლები. ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლიუსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის (EUWI+): შედეგები 2 და 3 ENI/2016/372-403. თბილისი, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა კონსორციუმი ავსტრიის გარემოს დაცვის სააგენტო, ვენა, ავსტრია, 2021, 197 გვ.
3. პავლიაშვილი ნ. „აჭარის რელიეფის ანთროპოგენული ტრანსფორმაცია“. საკვალიფიკაციო ნაშრომის გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბილისი, 2013, 70 გვ.
4. ტრაპაიძე ვ. წყლის რესურსები სასწავლო კურსი, თსუ 2012
<https://ka.warbletoncouncil.org>
<http://www.genesis.org.ge/brochure19/brochure19.htm>;
<https://www.un.org/development/desa/disabilities/envision2030.html>

STUDY OF THE CENTERS OF POLLUTION OF FLOWING RIVERS IN POPULATED AREAS OF ADJARA

Kipiani G. Darchidze G.

Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

Abstract. "Clean water", the main environmental challenge for the world community, is also an urgent issue for Georgia. As much as our country is distinguished by the abundance of small rivers, it is distinguished by the number of their pollution centers. In this regard, the Adjara region is no exception, water sources are being investigated in the entire territory of the region. To date, more than 150 surface rivers or streams have been studied, in almost a third of which a landfill of household waste was found, and in more than half, bacteriological pollution was found. This topic will concern the work of finding these pollution centers.

Keywords: Waste, water source, research, Adjara region.

A COMPLETE STUDY OF THE BED OF THE "TIBETA WATER" RIVER IN THE VILLAGE OF TIBETA IN THE ADJARA REGION TO IDENTIFY THE SOURCE OF E.COLI CONTAMINATION

Darchidze G., Chkhubiani D.
Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

Abstract. Recent studies confirm cattle and goats can contaminate water resources with E.coli, just like humans. It turns out to be cleaned from animal waste as well as from anthropological waste. The current article is about finding the source of this pollution and selecting cleaning options, as part of the Rural Ajara Water Supply and Wastewater Treatment Program, a complete study of the river bed selected for water supply in the village of Tibeta, Keda Municipality, Adjara.

Keywords: Waste, contamination, research.

Introduction

Within the framework of the program, a seasonal investigation of water quality (water sampling for laboratory analysis) was carried out for the sources of the project villages. During the investigation of the source of Tibeta village, water contamination with E. coli bacteria was revealed. Contamination was observed repeatedly during the summer dry period of 2021 and 2022 (see Figure 1). For the first time (27.08.2021), after receiving the laboratory results, sampling was repeated (09.09.2022), but no contamination was detected, which is why the mentioned contamination was assessed as one-time contamination. The second time (11.08.2022) when the results showed water contamination with E. coli bacteria - again in August, it was clear that the water was periodically contaminated (in hot weather conditions).

Therefore, a detailed study of the poor condition of the river was conducted to determine the source of the pollution.




Fig. 1. Schedule of the quantity of E. coli bacteria in water during the year.

The study of the river bed included:

- visual inspection of the entire river bed;
- Water sampling on river tributaries.

The first study was done on 29.08.2022 (Table 1).

Tibeta water originates at an altitude of 1300 meters a.s.l. and flows through a wooded valley with a length of 5.1 km. In the main period of the year, it is fed by underground water. During the rainy season, it is fed by rain and melting snow.

In some sections, it has a substantially deep riverbed and forms a canyon-like valley; there are several not accessible sections in the riverbed.

The mentioned river is the only one in the vicinity and nearby villages (Sabaduri, Kantauri, Abuketa and Tibeta) and is used for irrigation and drinking. There are 4 intake facilities of the irrigation network on the river. The river has 1 right and 3 left tributaries, which are formed from groundwater (Table 2).

The cause of pollution could not be identified by visual inspection. Therefore, the tributaries of the river and existing water intake facilities were considered as possible sources of pollution (the intakes can cause the formation of water pools and boggy territories. Consequently can result in water pollution). During the study of the river, 7 units of bacteriological samples were taken at the following locations (Table 1).

Table 1. Laboratory studies conducted during the initial study.

#	Description	Allowed limit (units/300 ml)	Laboratory analysis (units/300 ml)	Note
1	Water intake of the Tibeta river	10000	9500	Near the allowed limit
2	The left tributary (Tsatskhvni Ghele) (before connection to the river)	10000	2400	Under the allowed limit
3	The right tributary (Babiakani Ghele) (before connection to the river)	10000	700000	Above the allowed limit
4	The left tributary (without a name) (before connection to the river)	10000	2400	Under the allowed limit
5	Approx 10 meters before the intake structure of the Kantaruri irrigation network	10000	2400	Under the allowed limit
6	Approx 10 meters after the irrigation network intake facility of the Kantaruri	10000	2400	Under the allowed limit
7	The project intake Location (repeated analysis)	10000	7000	Under the allowed limit




Fig. 2. Map of the River bed, tributaries and sampling points for laboratory analysis.

Location N1 - Water intake of the Tibeta river	Location N2 - Tsatskhvnari Ghele
	
Location N3 - Babiakani Ghele	Location N4 - The tributary without a name
	
Location N5 - Before the Kantaruri intake	Location N6 - After the Kantaruri intake
	

Fig. 2. Pictures of simple taking locations.

Results of sampling revealed that the right tributary (location #3, see Figure was contaminated with a high level of E. coli. On September 12th, 2022, there was conducted a detailed investigation of mentioned tributary and only one source of pollution was identified. In that location, the tributary is crossing the road on the place where cattle from villages Sabaduri and Kantauri are drinking water during the hot weather periods (as the local population has explained).



Fig. 3. Identified possible sources of pollution (waste of cows).

Conclusion

The study identified only one possible (above-mentioned) source of contamination (location #3). From this study, we can conclude that the risk of contamination exists every summer and autumn. That's why some activities must be executed to prevent contamination.

There is no possibility to fence the location because it is on the road. After analyzing different possible solutions, the following two were proposed:

Installation of additional chlorination equipment, on the transmission main between the project intake and reservoir. Equipment will work only in periods when the risk of contamination exists. The negative side of this solution is the fact that there is no electricity on site; additional expenses; difficult access road to the site.

Construction of road crossing by pipe (see Figure 5). The solution is not expensive and doesn't need additional maintenance (only a few times per year cleaning from sedimentation). It will protect water from waste and limit the risk of contamination.




Fig. 4. Scheme of the road crossing.

Acknowledgment

We would like to express our gratitude to the representatives of "Adjara Rural Water Supply and Wastewater Treatment Program", Adjara Water Alliance and "MACS" for the technical and material assistance provided.

References

1. 2022 third quarter report of Ltd "MACS Representative Office in Georgia".
2. Pavliashvili N. "Anthropogenic transformation of the terrain of Adjara". Qualification thesis for obtaining the academic degree of Master of Geography, TSU, Tbilisi, 2013, 70 p.
3. Trapaidze V. Water resources training course, TSU, 2012.
4. [Abreham S.](#), [Teklu A.](#), [Cox E.](#) & [Tessema T.C.](#) Escherichia coli O157:H7: distribution, molecular characterization, antimicrobial resistance patterns and source of contamination of sheep and goat carcasses at an export abattoir, Mojdo Ethiopia//BMC Microbiology, 2019. < <https://bmcmicrobiol.biomedcentral.com/articles/10.1186/s12866-019-1590-8> >.
5. [LeJeune J.T.](#), [Besser Th. E.](#), [Dale D.](#) [Hancock D.D.](#) Cattle Water Troughs as Reservoirs of *Escherichia coli*//2001, 67(7), pp. 3053–3057.< <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC92980/> >

რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონის ბუნებრივი წყლების ჰიდროქიმიური და მიკრობიოლოგიური შედგენილობის შესწავლა

შავლიაშვილი ლ., კუჭავა გ., შუბლაძე ე., ტაბატაძე მ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის დარიშხანის გადამამუშავებელი საწარმოების მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული მდინარეების (ლუხუნი და ცხენისწყალი), არტეზიული და წყაროს წყლების ფიზ-ქიმიური, ჰიდროქიმიური და მიკრობიოლოგიური დახასიათება. მიღებული შედეგები წარმოდგენილია დასკვნების სახით. გამოვლენილია სხვადასხვა ინგრედიენტებით დაბინძურებული მდინარეები და არტეზიული წყლები.

მდინარის წყლებში, როგორც ფონური, ისე დაბინძურებულ ადგილებიდან აღებულ სინჯებში არც ერთი განსაზღვრული კომპონენტი არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას და ნორმის ფარგლებშია. მდინარეების წყალის მინერალიზაცია მიეკუთვნება მცირედ და საშუალოდ მინერალიზირებული წყლების კატეგორიას.

არტეზიული და სასმელი წყაროს წყლები მიეკუთვნება ზომიერი მინერალიზაციის (500-1000 მგ/ლ) მქონე წყლებს; განსაკუთრებით გამოირჩევა მყავე წყაროს წყალი, სადაც აღინიშნება წყლის სიხისტის (18.57 მგ.ექვ/ლ) მატება ზდკ-თან მიმართებაში; დამაბინძურებელი ინგრედიენტებიდან შეიძლება გამოვყოთ აზოტის მინერალური ფორმებიდან ამონიუმის იონები, რომელთა შემცველობა აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას დაახლოებით -1.2-ჯერ, ნიტრიტების შემცველობა კი - 132 ჯერ, ნიტრატების და ფოსფატების რაოდენობა არც ერთ შემთხვევაში არ აღემატება ზდკ-ს.

ივნისის თვეში, წყაროს წყალი ურავი 2-ის ტერიტორიაზე და ცანას მიმართულებით შეიცავს *E-coli*, ტოტალურ კოლიფორმებს და ფეკალურ სტრუპტოკოკებს, რაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ დაიშვება, ხოლო მყავე წყალში არ დაფიქსირებულა მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით დაბინძურება.

საკვანძო სიტყვები: ბუნებრივი წყლები, ჰიდროქიმია, მიკრობიოლოგია, დაბინძურება.

შესავალი

ბუნებრივი წყლების ეკოქიმიური და ბიოლოგიური მონიტორინგი ერთადერთი შესაძლებლობაა, რომლის წყალობითაც შესაძლებელია ამ ობიექტების არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შემოწმება. გარემოს მომაკვდინებელი საფრთხეა დაბინძურება, რის შედეგადაც მცირდება (იკარგება) ბიომრავალფეროვნება, რომლის ტერმინის ქვეშ მოიაზრება დედამიწაზე არსებული სიცოცხლის ფორმების (მცენარეების, ცხოველების და მიკროორგანიზმების) მრავალფეროვნება. ყველაზე მძლავრი დარტყმა კი მდინარეებსა და ტბებზე მოდის. მტკნარი წყლების ფაუნის რიცხვი 1970 წლის შემდეგ 81%-ით არის შემცირებული, რაც ძირითადად წყლის ინდუსტრიული, სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მიზნებით გამოყენების შედეგია (<https://on.ge/story/19754-%E1%83%A0%E1%83%90>). აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან უკნასკნელ პერიოდში საგრძნობლადად გაიზარდა საქართველოს ეკოსისტემებზე ანთროპოგენური ზემოქმედების ხასიათი და ინტენსივობა, ამავე დროს მნიშვნელოვნად მოიმატა მოსახლეობაში სიცოცხლისათვის მაღალი რისკის მქონე დაავადებების რაოდენობამ.

საყურადღებოა დარიშხანით დაბინძურება საქართველოში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, სადაც ათეული წლების მანძილზე მიმდინარეობდა დარიშხანის მადნების მოპოვება, გადამუშავება და დარიშხანშემცველი ნაერთების წარმოება. დღეისათვის ორივე საბადო დაკონსერვებულია და დარიშხანის წარმოება არ ხდება, მაგრამ მომავალ თაობებს მაინც რჩებათ დაბინძურებული ნიადაგები. დღემდე სოფლებში ურავი და ცანა სამთოქიმიური ქარხნის ტერიტორიაზე ინახება საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი დარიშხანის წარმოების შედეგად დარჩენილი ტოქსიკური ნარჩენების (4-9 % თეთრი დარიშხანის შემცველი 130 ათას ტონაზე მეტი, რასაც ემატება რუსეთიდან შემოტანილი ათასობით ტონა დარიშხანშემცველი ნარჩენი მათ შორის, ღია ცის ქვეშ მიმოხეული) დიდი პარტიები [1].

განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ამავე დროს, ეს რეგიონი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტურისტული რეგიონია, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კატასტროფის მასშტაბებს.

საკვლევი ზონა და მეთოდები

ნაშრომში პირველ ეტაპზე დაგეგმილია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის დარიშხანის გადამამუშავებელი საწარმოების მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული მდინარეების (ლუხუნი და ცხენისწყალი), არტეზიული და წყაროს წყლების ფიზ-ქიმიური, ჰიდროქიმიური და მიკრობიოლოგიური დახასიათება. დაგეგმილია აგრეთვე ნიადაგებისა და სასურსათო პროდუქტების დარიშხანით დაბინძურების შესწავლა. დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონში 2022 წლის ივნისის თვეში ჩატარდა პირველი საველე სამუშაოები: შერჩეული იყო ბუნებრივი წყლების სინჯების აღების წერტილები ფონური და დაბინძურებული ადგილებიდან. ნაშრომში შევჩერდებით მხოლოდ ბუნებრივი წყლების დაბინძურების საკითხებზე, კერძოდ:

1. წყაროს წყალი, ურავი 2-ის ტერიტორიაზე (150-200 მ დაცილებით);
2. მდ.ლუხუნი, ურავი ზედა;
3. მდ. ლუხუნი, (სარკოფაგის ქვევით 100 მ დაცილებით);
4. შაორის წყალსაცავი;
5. წყაროს წყალი მთიდან, ცანას მიმართულებით;
6. მჟავე წყალი (წყარო), ლენტეხის ზევით;
7. მდ.ცხენისწყალი, ცანა ზედა;
8. მდ.ცხენისწყალი, ლენტეხის ქვევით.

აღებულ წყლის სინჯებში განისაზღვრა: ფიზიკურ-ქიმიური, ჰიდროქიმიური და მიკრობიოლოგიური პარამეტრები, კერძოდ: pH, ელექტროგამტარობა, ბიოგენური ნივთიერებები - NO_2^- , NO_3^- , NH_4^+ , PO_4^{3-} , ძირითადი იონები, მინერალიზაცია, ჟბმ, ტოტალური კოლიფორმები, E-coli და ფეკალური სტრეპტოკოკები [2,3].

ანალიზები ჩატარდა თანამედროვე მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით, რომლებიც აკმაყოფილებს და შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, კერძოდ:

1. სპექტროფოტომეტრული მეთოდი - SPECORD 205 ISO 7150-1: 2010;
2. მემბრანული ფილტრაციის მეთოდი - ISO 9308-1; ISO 7899-2;
3. პლაზმურ-ემისიური სპექტრომეტრი - ICP-OES; Epa method 200.8;
4. საველე პორტატული აპარატურა - Hanna Combo pH/EC/TDS/PPM Tester HI98129;
5. pH-მეტრი - Milwaukee-Mi 150.

შედეგების განხილვა

როგორც ჩატარებული ანალიზების შედეგები გვიჩვენებს მდინარეების pH მერყეობს 6.9 - 7.8-ის, ხოლო არტეზიული და წყაროს წყლების - 6.5-8.0-ის ფარგლებში. უნდა აღინიშნოს, რომ

მჟავე წყლის წყაროს არის რეაქცია გადახრილია მჟავე (6.5) მიმართულებით, სხვა წყაროს წყლების არის რეაქცია კი - ტუტე მიმართულებით (8.0). წყლის pH განსაზღვრავს ჟანგვა-აღდგენით პოტენციალს და მასზეა დამოკიდებული წყლის თვითგაწმენდის უნარი (ცხრ.1, 2).

ცხრილი 1. საკვლევი მდინარეების ფიზიკურ-ქიმიური და ჰიდროქიმიური ანალიზის შედეგები - ივნისი, 2022.

#	ინგრედიენტები	ლუხუნი ურავი ზედა	ლუხუნი (სარკოფაგის ქვევით 100 მ დაცილებით)	ცხენისწყალი, ცანა ზედა	ცხენისწყალი ლენტეხის ქვევით	შაორის წყალსაცავი	ზღვ*
		X-360228 Y-4722971	X-358975 Y-4721438	X-345623 Y-4741481	X-313988 Y-4737237	X-3340808 Y-4699495	
1	pH	6,9	7,8	7,0	7,5	7,4	6.5-8.5
2	ელექტროგამტარობა, I?sms/cm	209	140	283	198	170	
3	ჟბმ, მგ/ლ	2,17	1,78	2,48	1,42	1,45	6.0
4	სიხისტე, მგ.ექვ/ლ	2,02	2.38	3,68	2,67	2,39	
5	ამონიუმი, მგ/ლ	0,202	0,259	0,095	0,149	0,109	0,39
6	ნიტრიტები, მგ/ლ	0.069	0.069	0.010	0.030	0.045	3,3
7	ნიტრატები, მგ/ლ	0.53	0.104	0.66	0.026	0.082	45
8	ფოსფატები, მგ/ლ	0.052	0.174	0.018	0.106	0.226	3,5
9	სულფატები, მგ/ლ	23.0	9.34	10.9	12.45	0.31	500
10	ქლორიდები, მგ/ლ	3.1	0.34	2.3	0.20	0.17	350
11	ბრომი, მგ/ლ	0,112	0.137	0,015	0.045	0.116	
12	ფტორი, მგ/ლ	0,025	0.024	0,010	0.008	0.008	
13	ჰიდროკარბონატები, მგ/ლ	114.7	91.50	219.6	148,84	125,67	
14	კალიუმი, მგ/ლ	10.0	0.90	5.0	0,55	0,65	
15	ნატრიუმი, მგ/ლ						
16	კალციუმი, მგ/ლ	25.6	32.42	64.1	38,70	33,07	
17	მაგნიუმი, მგ/ლ	8.8	9.29	5.8	8,96	9,01	
18	მინერალიზაცია, მგ/ლ	186.7	143.87	308.9	201,71	168,97	

ზღვ* - ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია ზედაპირული წყლის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №425, 2013 წლის 31 დეკემბერი, ქ. თბილისი) [4]

როგორც ცხრ. 1-დან ჩანს, მდინარის წყლებში, როგორც ფონური, ისე დაბინძურებულ ადგილებიდან აღებულ სინჯებში არც ერთი განსაზღვრული კომპონენტი, კერძოდ, ბიოგენური ნაერთები, ძირითადი კათიონები და ანიონები და სხვა არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას და ნორმის ფარგლებშია. ორივე მდინარის წყლის მინერალიზაცია მერყეობს 143.87 – 308.9, ხოლო შაორის წყალსაცავის - 168.97 მგ/ლ ფარგლებში, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ აღნიშნული წყლები მიეკუთვნებიან მცირედ (< 200 მგ/ლ) და საშუალოდ (200-500 მგ/ლ) მინერალიზირებული წყლების კატეგორიას [5].

განსხვავებული სურათია არტეზიული და სასმელი წყაროს წყლების ფიზ-ქიმიური და ჰიდროქიმიური მაჩვენებლების მიხედვით (ცხრ. 2). განსაკუთრებით გამოირჩევა მჟავე წყაროს წყალი, სადაც აღინიშნება წყლის სიხისტის (18.57 მგ.ექვ/ლ) მატება ზღვ-თან მიმართებაში. ჰიდროკარბონატების შემცველობა შეადგენს - 502.64, Ca⁺⁺ - 220.15, Na⁺+K⁺ - 80.5 და Mg⁺⁺-10.98 მგ/ლ.


ცხრილი 2. არტეზიული და სასმელი წყლების ფიზიკურ-ქიმიური, ჰიდროქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები - ივნისი, 2022.

#	ინგრედიენტები	წყაროს წყალი ურავი 2-ის ტერიტორიაზე (150-200 მ დაცილებით)	წყაროს წყალი მთიდან, ცანას მიმართულებით	მჟავე წყალი (წყარო) ლენტეხის ზევით	ზღვ*
		X-359777 Y-4722474	X-316809 Y-4741183	X-313288 Y-4741009	
1	pH	8,0	7,1	6,5	6-9
2	ელექტროგამტარობა, I ² sms/cm	89	345	1125	
3	ჟბმ, მგ/ლ	1,25	2,10	0,95	
4	სიხისტე, მგ.ექვ/ლ	0,97	5,53	18,57	7-10
5	ამონიუმი, მგ/ლ	0,221	0,098	0,469	0,39
6	ნიტრიტები, მგ/ლ	0.022	0.075	132.05	1,0
7	ნიტრატები, მგ/ლ	0.113	0.029	0.070	10
8	ფოსფატები, მგ/ლ	0.072	0.196	0.156	3,5
9	სულფატები, მგ/ლ	1.29	53.67	12.51	250
10	ქლორიდები, მგ/ლ	0.46	0.06	81.99	250
11	ბრომი, მგ/ლ	0.170	0.101	0.667	
12	ფტორი, მგ/ლ	0.072	0.041	0.040	0,7
13	ჰიდროკარბონატები, მგ/ლ	74.42	189,10	502,64	
14	კალიუმი, მგ/ლ	0.88	0,95	80,5	
15	ნატრიუმი, მგ/ლ				
16	კალციუმი, მგ/ლ	10.44	84,27	220,15	
17	მაგნიუმი, მგ/ლ	5.52	16,19	10,98	
18	მინერალიზაცია, მგ/ლ	93.14	341,28	921,76	1000-1500
19	E-Coli, 250 მლ-ში	8	10	არ/აღ	არ დაიშვება
20	ტოტალური კოლიფორმები 250 მლ-ში	25	32	არ/აღ	
21	ფეკალური სტრეპტოკოკები, 300 მლ-ში	5	3	არ/აღ	


ზღვ* - ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად (შაქართველოს მთავრობის დადგენილება №58 2014 წლის 15 იანვარი ქ. თბილისი) [6].

მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენენ ბიოგენური ელემენტები (აზოტი, ფოსფორი), რომლებიც ასახავენ ზედაპირული წყლების დაბინძურების ხარისხს და არიან ანთროპოგენული დატვირთვის ინდიკატორები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ცალკეული ფორმების (NH₄⁺, NO₂⁻, NO₃⁻, PO₄³⁻) შემცველობების კონტროლი წყალში, რომლებიც ახასიათებენ ისეთი პროცესების გაძლიერებას, როგორცაა ფეკალური დაბინძურება, ევტროფიკაცია, გამოწვეული კომუნალური და სასოფლო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების ჩაშვებით. აზოტის მინერალური ფორმებიდან აღმოჩენილია ამონიუმისა (0.469/1.2 ზღვ) და ნიტრიტული (132.05/132.1 ზღვ) ფორმების მაღალი შემცველობები (ცხრ. 2, ნახ. 1), რაც სავარაუდოდ გამოწვეულია მასში ფეკალური ჩამდინარე წყლების გავლენით, რაც იწვევს აღნიშნული წყაროს წყლის დაბინძურებას. ნიტრატების და ფოსფატების მნიშვნელობები არ აღემატება შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს. ამ წყაროს მინერალიზაცია შეადგენს 921.76 მგ/ლ და მიეკუთვნება ზომიერი მინერალიზაციის მქონე წყლებს (500-1000 მგ/ლ). ხოლო წყაროს წყალი მთიდან, ცანას მიმართულებით, ეკუთვნის საშუალოდ მინერალიზირებულს (341.28 მგ/ლ) კატეგორიას. ნახ. 2-ზე მოცემულია მდინარეებისა და არტეზიული და სასმელი წყლების მინერალიზაცია.

დაბინძურების შედეგად იცვლება როგორც წყლის ფიზიკური თვისებები (ფერი, სუნი, სიმღვრივე), ასევე ქიმიური შედგენილობა (ორგანული, ბიოგენური ნივთიერებები და სხვ.) და მიკროფლორა. მდინარის წყლის ბაქტერიოლოგიურ სისუფთავეს აფასებენ ნაწლავის ჩხირების (E-coli) რაოდენობით 1 ლ წყალში (კოლი ინდექსი). კოლი ინდექსის მაღალი მნიშვნელობა წყლის ფეკალური დაბინძურების მაჩვენებელია (ზდკ 5000 1 დმ³-ში).




ნახ. 1. ამონიუმის იონის კონცენტრაციის შემცველობა მდინარეებში, არტეზიულ და სასმელ წყლებში.



ნახ. 2. მინერალიზაციის შემცველობა საკვლევ მდინარეებში, არტეზიულ და სასმელ წყლებში.

მიკრობიოლოგიური ანალიზები განისაზღვრა მხოლოდ სასმელ წყლებში. როგორც ჩვენი ჩატარებული ანალიზის შედეგებიდან ჩანს, ივნისის თვეში (ცხრ. 2, ნახ.3), წყაროს წყალი ურაგო 2-ის ტერიტორიაზე და ცანას მიმართულებით შეიცავს E-coli, ტოტალურ კოლიფორმებს და ფეკალურ სტრეპტოკოკებს, რაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ დაიშვება, ხოლო მკავე წყალში არ დაფიქსირებულა მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით დაბინძურება.



ნახ. 3. მიკრობიოლოგიური დაბინძურება წყაროს წყლებში (ზდკ - არ დაიშვება).

დასკვნა. შესწავლილი ბუნებრივი წყლების ფიზიკურ-ქიმიური, ჰიდროქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზების მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გამოითქვას შემდეგი დასკვნები:

- მდინარის წყლებში, როგორც ფონური, ისე დაბინძურებულ ადგილებიდან აღებულ სინჯებში არც ერთი განსაზღვრული კომპონენტი, კერძოდ, ბიოგენური ნაერთები, ძირითადი კათიონები და ანიონები არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას და ნორმის ფარგლებშია. მდინარეების წყალის მინერალიზაცია მიეკუთვნება მცირედ და საშუალოდ მინერალიზირებული წყლების კატეგორიას.

- არტეზიული და სასმელი წყაროს წყლები მიეკუთვნება ზომიერი მინერალიზაციის (500-1000 მგ/ლ) მქონე წყლებს; განსაკუთრებით გამოირჩევა მჟავე წყაროს წყალი, სადაც აღინიშნება წყლის სიხისტის (18.57 მგ.ეკვ/ლ) მატება ზდკ-თან მიმართებაში;
 - დამაბინძურებელი ინგრედიენტებიდან შეიძლება გამოვყოთ აზოტის მინერალური ფორმებიდან ამონიუმის იონები, რომელთა შემცველობა აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას დაახლოებით -1.2-ჯერ, ნიტრიტების შემცველობა კი - 132 ჯერ, ნიტრატების რაოდენობა არც ერთ შემთხვევაში არ აღემატება ზდკ-ს. ასევე დაბალია ფოსფატების შემცველობაც;
 - ივნისის თვეში, წყაროს წყალი ურავი 2-ის ტერიტორიაზე და ცანას მიმართულებით შეიცავს E-coli, ტოტალურ კოლიფორმებს და ფეკალურ სტრეპტოკოკებს, რაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ დაიშვება, ხოლო მჟავე წყალში არ დაფიქსირებულა მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით დაბინძურება.
- კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი N FR-21-427].

ლიტერატურა

1. გალექსიძე, რ.ლოლიშვილი - საქართველოს გარემოს დაბინძურების ძირითადი ასპექტები//საქართველოს სოფლის-მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2016. გვ.33-45,
2. Фомин Г.С., Фомин А.Г.– Вода. Контроль качества и экологической безопасности по международным стандартам. Справочник. Москва, 2001.
3. Руководство по методам гидробиологического анализа поверхностных вод и донных отложений. – Гидрометеоиздат, Ленинград, 240 ст., 1983.
4. ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია ზედაპირული წყლის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №425, 2013 წლის 31 დეკემბერი, ქ. თბილისი).
5. გ.სუპატაშვილი - გარემოს ქიმია (ეკოქიმია) - თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 187გვ., 2009.
6. ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №58 2014 წლის 15 იანვარი ქ. თბილისი).

STUDY OF HYDROCHEMICAL AND MICROBIOLOGICAL COMPOSITION OF NATURAL WATERS OF RACHA-LECHKHUMI AND KVEMO SVANETI REGION

Shavliashvili L., Kuchava G., Shubladze E., Tabatadze M.

Institute of Hydrometeorology of Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

Abstract. *In the paper are discussed physical-chemical, hydrochemical and microbiological characterization of rivers (Lukhuni and Tshkhenistskali), artesian and spring waters in the vicinity of arsenic processing enterprises of Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti region. The obtained results are presented in the form of conclusions. Rivers and artesian waters contaminated with various ingredients have been identified.*

In the river waters, in the samples taken from both the background and polluted areas, none of the determined components exceed the maximum allowable concentration and are within the norm. Mineralization of river water belongs to the category of slightly and moderately mineralized waters.

Artesian and drinking spring waters belong to waters with moderate mineralization (500-1000 mg/l); Acidic spring water is especially distinguished, where an increase in water hardness (18.57 mg.eq/l) is noted in relation to MPC; Among the polluting ingredients, we can single out ammonium ions from mineral forms of nitrogen, the content of which exceeds the maximum permissible concentration by about -1.2 times, and the content of nitrites - 132 times; The amount of nitrates and phosphates never exceeds MPC.

In the month of June, spring water in the territory of Uravi 2 and in the direction of Tsana contains E-coli, total coliforms and fecal streptococci, which is not allowed according to the Georgian legislation; And as for acidic water, there was no contamination according to microbiological indicators.

Keywords: *Natural waters, hydrochemistry, microbiology, pollution.*

სასმელი წყლის გამწმენდი მაღალი ქიმიური მდგრადობის მფილტრავი მასალის მიღების მეთოდი

გალოგრე გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

ანოტაცია. შემუშავებულია Mn^{2+} და Fe^{2+} იონებისაგან წყლის გამწმენდი ახალი ტიპის მფილტრავი მასალის - Fe^{3+} იონების შემცველი MnO_2 -ით მოდიფიცირებული ცეოლიტის (კლინოპტილოლიტი) მიღების ორიგინალური მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ცეოლიტის სტრუქტურაში იონმიმოცვლითი მექანიზმით ჩამჯარი Mn^{2+} და Fe^{2+} იონების არაპირდაპირ ელექტროქიმიურ დაქანგვას მედიატორული სისტემის $NaCl - NaClO$ -ს გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: ცეოლიტი, მანგანუმის დიოქსიდი, მოდიფიცირება.

შესავალი

Mn^{2+} და რკინის (Fe^{2+}, Fe^{3+}) იონებისაგან სასმელი წყლის გასაწმენდად ფართოდ გამოიყენება მფილტრავი მასალები, რომელთა მატრიცას წარმოადგენს ცეოლიტები, ხოლო აქტიურ კომპონენტებს - მატრიცის ზედაპირზე დაფენილი MnO_2 . მსოფლიო ბაზარზე არსებული ამ ტიპის მფილტრავი მასალების დამზადების ტექნოლოგია წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეფექტიანი მფილტრავი მასალის დასამზადებლად აუცილებელია გადაიჭრას მატრიცის ზედაპირზე მაღალი ქიმიური მდგრადობის MnO_2 -ის მიღების პრობლემა, რაც გულისხმობს მატრიცის მოდიფიცირებას ზედაპირთან ქიმიურად ბმული (ქემოსორბირებული) და წყალში პრაქტიკულად უხსნადი MnO_2 -ის ფენით.


ცნობილია მფილტრავი მასალის - MnO_2 -ით მოდიფიცირებული კლინოპტილოლიტის მიღების მეთოდი [1], რომლის თანახმადაც ცეოლიტის ჩონჩხში იონმიმოცვლითი გზით ჩამჯადარი Mn^{2+} იონების MnO_2 -მდე დასაქანგავად გამოყენებულ $KMnO_4$ -ის წყალხსნარში დაახლოებით 10-20 გ/ლ $NaCl$ -ის თანაობისას იქმნება ცეოლიტის ზედაპირთან ქიმიურად ბმული MnO_2 -ის წარმოქმნისათვის საჭირო პირობები.

ცნობილია, აგრეთვე, MnO_2 -ის ნანობოჭკოს წყალში ხსნადობის შემცირების მეთოდი [2], რომლის თანახმადაც დადებითი ეფექტი მიიღწევა Fe^{3+} იონებით MnO_2 -ის ნანობოჭკოს დოპირების გზით.





აღნიშნული მეთოდების გათვალისწინებით შემუშავებულია ახალი ტიპის მფილტრავი მასალის - Fe^{3+} იონების შემცველი MnO_2 -ით მოდიფიცირებული ცეოლიტის (კლინოპტილოლიტი) მიღების ორიგინალური მეთოდი [3].

სამუშაოს შინაარსი


შემუშავებული ორიგინალური მეთოდის [3] არსი შემდეგში მდგომარეობს: პირველ სტადიაზე კლინოპტილოლიტი მუშავდება განსაზღვრული კონცენტრაციისა და მოლური შეფარდების $MnSO_4$ -ისა და $FeSO_4$ -ის წყალხსნარით, რის შედეგადაც იონმიმოცვლითი მექანიზმით მიიღება Mn^{2+} და Fe^{2+} იონებით მოდიფიცირებული კლინოპტილოლიტი. პროცესი სქემატურად შემდეგი განტოლებით გამოისახება:




მეორე სტადიაზე მიმდინარეობს ცეოლიტის კარკასში ჩამჯდარი პრეკურსორების - Mn^{2+} და Fe^{2+} იონების არაპირდაპირი ელექტროქიმიური დაჟანგვა. პროცესი ტარდება ორ რეაქტორში, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ხსნარების ცირკულაციის ერთიანი ჩაკეტილი კონტურით. პირველ რეაქტორში - ელექტროლიზერში $NaCl$ -ის წყალხსნარის ელექტროლიზით მიიღება ძლიერი დამჟანგავი $NaClO$;



ელექტროლიზერიდან დამჟანგავი ხსნარი, რომელიც შეიცავს $NaClO$ -სა და $NaCl$ -ს, მიეწოდება დაჟანგვის რეაქტორს, სადაც მოთავსებულია Mn^{2+} და Fe^{2+} იონებით მოდიფიცირებული ცეოლიტი. რეაქტორში პრეკურსორების - Mn^{2+} და Fe^{2+} იონების დაჟანგვით მიიღება მიზნობრივი პროდუქტი - Fe^{3+} იონების შემცველი MnO_2 -ით მოდიფიცირებული ცეოლიტი; ხოლო დაჟანგვის რეაქტორიდან გამომავალი $NaCl$ -ის ხსნარი ბრუნდება ელექტროლიზერში.



რეაქციებს (2) და (3) შეჯამებით ვღებულობთ მფილტრავი მასალის დამზადების სქემატურ ჯამურ განტოლებას:



ამრიგად, შემუშავებულ ტექნოლოგიაში გამოყენებული არაპირდაპირი ელექტროქიმიური დაჟანგვის მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ცეოლიტის კარკასში ჩამჯდარი Mn^{2+} და Fe^{2+} იონები იჟანგება არა უშუალოდ ანოდზე ელექტროქიმიურად (ამ პროცესის განხორციელება შეუძლებელია, რადგან ცეოლიტს არ აქვს ელექტრონული გამტარებლობა), არამედ ქიმიური დამჟანგავით $NaClO$ -ით, რომელიც მიიღება $NaCl$ -ის წყალხსნარის ელექტროლიზით. არაპირდაპირი ელექტროქიმიური დაჟანგვის პროცესი ხორციელდება ელექტროლიზერის გარეთ ანუ ე.წ. „ex cell“ რეჟიმში.

ჯამურ განტოლებაში (4) არ შედის მედიატორული სისტემის ორივე კომპონენტი - $NaCl$ და $NaClO$. ისინი ურთიერთგარდაიქმნებიან და მათი ხარჯი თეორიულად ნულის ტოლია (ხარჯი განპირობებულია მხოლოდ მექანიკური დანაკარგებით). ცეოლიტის კარკასში ჩამჯდარი Mn^{2+} და Fe^{2+} დასაჟანგად იხარჯება მხოლოდ ელექტროლიზის ენერჯია.

არაპირდაპირი ელექტროქიმიური დაჟანგვის მეთოდი გულისხმობს $NaCl$ -ის ორმაგი დანიშნულებით გამოყენებას: იგი წარმოადგენს ელექტროლიზით $NaClO$ -ის მიღებისათვის საჭირო მედლეულს და ამავე დროს, განაპირობებს ქიმიურად ბმული MnO_2 -ის ფენის წარმოქმნას. აღნიშნული ეფექტისა და აგრეთვე, Fe^{3+} იონებით დოპირების გზით MnO_2 -ის წყალში ხსნადობის შემცირების ეფექტის ექსპერიმენტული დადასტურება აღწერილია სამუშაოში [4].

ლიტერატურა

1. Тарасевич Ю.О., Поляков В.Е., Иванова З.Г. , Крысенко Д.А., «Получение и свойства Клиноптилолита, модифицированного диоксидом марганца.»//«Химия и технология воды» 2008, м.30; №2; ст. 159-169.
2. Huimin Chen, Lei Jin, Meidong Wang, Danny Xiao, David Reisner. «Reducing dissolution of MnO₂ nanofibers by doping with ferric ion»//«Science and Technology of Advanced Materials» 2007, 8, pp. 63-66
3. ჯ.შენგელია, გ.გალოგრე. «Fe³⁺ იონების შემცველი მანგანუმის დიოქსიდით მოდიფიცირებული ცეოლიტის მიღების ხერხი», საქართველოს პატენტი - B 01 J 20/18; C 02 F 1/28,1/64;
4. ჯ.შენგელია, გ.გალოგრე. «სასმელო წყლის გაწმენდისათვის მაღალი ქიმიური მდგრადობის მანგანუმის დიოქსიდით მოდიფიცირებული ცეოლიტის მიღება და გამოცდა»//საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალი; თბილისი, 2021, ტ.23.2(46), გვ.82-92.

A METHOD OF OBTAINING FILTER MATERIAL OF HIGH CHEMICAL STABILITY FOR DRINKING WATER PURIFICATION

Galgre G.

Technical University of Georgia, Faculty of Chemical Technology and Metallurgy, Tbilisi, Georgia

Absrtact. *An original technology for obtaining a new type of filter material for purifying water from Mn²⁺ and Fe²⁺ ions – by MnO₂ modified zeolite (clinoptilolite) containing Fe³⁺ ions has been developed, which provides for the indirect electrochemical oxidation of Mn²⁺ and Fe²⁺ ions trapped in the zeolite frame using the mediator system NaCl-NaClO.*

Key words: *zeolite, manganese dioxide, modification.*

ქ. რუსთავის ატმოსფეროში მიკრონაწილაკების შემცველობის შეფასება ექსპერიმენტული გაზომვებით

გიგაური ნ., ფიფია მ., ბეგლარაშვილი ნ., მდივანი ს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

ანოტაცია. ექსპერიმენტული გაზომვებისა და მონიტორინგის მონაცემებზე დაყრდნობით გამოკვლეულია ქ. რუსთავის ატმოსფერულ ჰაერში გაზნეული მიკრონაწილაკების PM_{2.5} და PM₁₀ კონცენტრაციები. შეფასებულია ქალაქის ატმოსფეროს დაბინძურების დონეზე ტრასებზე მოძრავი ავტოტრანსპორტის გავლენა. პირველად მობილური აპარატის გამოყენებით ექსპერიმენტულად განსაზღვრულია ქალაქში და მის შემოგარენში ატმოსფეროში გაზნეული მიკრონაწილაკების კონცენტრაციები. გამოვლენილია მაქსიმალური დაბინძურების უბნები.

საკვანძო სიტყვები: ატმოსფერო, დაბინძურება, მიკრონაწილაკები, ავტოტრანსპორტი


შესავალი.

PM_{2.5} და PM₁₀ - ატმოსფერულ ჰაერში მტვრის მიკრონაწილაკებია, რომლებიც საშიშნი არიან ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ამიტომ ძალიან აქტუალურია ამ ნაწილაკთა დაბინძურების დონის განსაზღვრა, მით უმეტეს ისეთ ინდუსტრიულ ქალაქში, როგორც რუსთავია. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემების (http://air.gov.ge/reports_page) თანახმად ქ. რუსთავის ატმოსფეროში PM_{2.5} და PM₁₀ კონცენტრაციები ხშირ შემთხვევაში აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. დაბინძურების ძირითად წყაროს წარმოადგენენ მეტალურგიული, სამშენებლო, ქიმიური და სხვა საწარმოები, რომლებიც განლაგებულნი არიან ძირითადად ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, აგრეთვე, დიდი გავლენა აქვს საავტომობილო მაგისტრალზე მოძრავ ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვს.

დღეს ქალაქში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი სადამკვირვებლო პუნქტი, რომელიც განთავსებულია რუსთავის ცენტრში და ცხადია არ არის საკმარისი სამრეწველო ქალაქის დაბინძურების სრული სურათის შესაფასებლად, ამიტომ ავირჩიეთ საკვლევ ობიექტად ქ.რუსთავი და ჩავატარეთ ექსპერიმენტალური გაზომვები თბილისი-რუსთავის ტრასაზე და ქალაქის სხვადასხვა წერტილში მობილური აპარატით (TROTEC PC220).


ექსპერიმენტული ნაწილი.

ქ.რუსთავის PM ნაწილაკების ავტომატურ რეჟიმში მონიტორინგი ხორციელდება გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ (http://air.gov.ge/reports_page). დამუშავებულია ეს მონაცემები 2020-2022 წლის სექტემბრის ჩათვლით და აგებულია ყოველთვიური, ყოველდღიური და საათობრივი გრაფიკები. ნახ. 1-ზე ნაჩვენებია 2021 წლის ყოველთვიური მონაცემები (ანალოგიური შედეგი დაფიქსირდა წინა წელსაც), საიდანაც ნათლად ჩანს, რომ PM ნაწილაკთა მაქსიმალური კონცენტრაციები ყოველთვის აღემატება, მინიმალური ყოველთვის ნაკლებია და საშუალო მნიშვნელობები უფრო მეტად ზამთრის პერიოდში აჭარბებს მათ შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს (ზდვ).




ნახ.1. PM_{2.5} და PM₁₀-ის მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო კონცენტრაციები, 2021 წელი.

რაც შეეხება PM ნაწილაკთა კონცენტრაციების ყოველდღიურ მნიშვნელობებს, რაიმე კანონზომიერება არ გამოვლენილა, თუმცა უნდა ითქვას, რომ PM_{2.5}-ისა და PM₁₀-ის კონცენტრაციითა მრუდები ხასიათით ერთნაირია. მაგალითად, ნახ.2-დან ჩანს, რომ ყველაზე მაღალი კონცენტრაციები როგორც PM_{2.5}-ის, ასევე PM₁₀-ის ფიქსირდება 10 მარტს და შესაბამისად შეადგენს 227 მგ/მ³ და 88 მგ/მ³-ს.




ნახ.2. კ. რუსთავში PM_{2.5} და PM₁₀-ის კონცენტრაციები 2020 წლის მარტში.

ანალოგიური სურათია მიღებული ნახ.3-ზე, სადაც ნაჩვენებია 2021 წლის სექტემბრის ყოველდღიური მონაცემები.




ნახ.3. ქ.რუსთავში PM2.5 და PM10-ის კონცენტრაციები 2021 წლის აპრილში.

აგრეთვე, გაანალიზებულია PM ნაწილაკთა საათობრივი ცვლილება. ნახ. 4 და ნახ.5-ზე ნაჩვენებია 2020 წლის 2-8 მარტისა და 2022 წლის მაისის ინტერვალში მონაცემთა მსვლელობა, საიდანაც რაიმე დასკვნის გამოტანა პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან კონცენტრაციათა მაქსიმუმები ფიქსირდება დღის სხვადასხვა ინტერვალში, განსხვავებით ქ.თბილისისგან, სადაც მაქსიმუმები მიიღწეოდა ყოველთვის დღის მეორე ნახევარში 20 საათის შემდგომ, რაც დაკავშირებულია ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობასა და პიკის საათების პერიოდთან [1, 2].




ნახ.4. PM2.5 და PM10-ის კონცენტრაციების საათობრივი ცვლილება ქ.რუსთავში 2020 წლის მარტში.




ნახ.5. PM2.5 და PM10-ის კონცენტრაციების საათობრივი ცვლილება ქ.რუსთავში 2022 წლის მაისში.


ექსპერიმენტალურმა გაზომვებმა მოიცვა თბილისი-რუსთავის ძირითადი ტრასა, ქალაქის ცენტრალური უბნები და სამრეწველო ობიექტების მიმდებარე ტერიტორიები. ექსპედიცია ჩატარდა 3-ჯერ სხვადასხვა მეტეოროლოგიურ სიტუაციაში. ნახ. 6-ზე ნაჩვენებია 12 თებერვალს ჩატარებული ექსპედიციის მონაცემები, საიდანაც ვხედავთ რომ PM2.5 და PM10 ნორმის ფარგლებშია. ნახ.7-ზე ნაჩვენებია 9 აპრილს ჩატარებული ექსპედიციის შედეგი, ჩანს რომ მე-7 პუნქტში PM ნაწილაკთა მნიშვნელობები 8-ჯერ აღემატება სხვა პუნქტებში აღებულ მონაცემებს. ეს გაზომვა ჩატარდა ცემენტის ქარხნის მიმდებარედ, იყო ქარიანი ამინდი, დაახლოებით 9მ/წმ-ში, და თვალით ხილული იყო მტვრის კორიანტელი, რაც ასახა კიდევაც გრაფიკზე.



ნახ.6. PM2.5 და PM10-ის კონცენტრაციები ქ. რუსთავის სხვადასხვა პუნქტში, 2022 წლის 12 თებერვალი.



ნახ.7. PM2.5 და PM10-ის კონცენტრაციები ქ. რუსთავის სხვადასხვა პუნქტში, 2022 წლის 9 აპრილი.



ნახ.8. PM2.5 და PM10-ის კონცენტრაციები ქ. რუსთავის სხვადასხვა პუნქტში, 2022 წლის 3 ივნისი.

მესამე გასვლა ჩატარდა 3 ივნისს და როგორც ნახ.8-დან ჩანს, ყველა პუნქტში აღებული მონაცემი აჭარბებს ზღვ-ს. იყო დაბალი ღრუბლიანი ამინდი, რამაც იმოქმედა კონცენტრაციების მატებაზე, ვინაიდან ასეთი დროს მტვრის ნაწილაკები ატმოსფეროს ქვედა ფენაში რჩებიან და არ იფანტებიან.

დასკვნა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქ. რუსთავის ატმოსფეროში PM_{2.5}-ნაწილაკების კონცენტრაციები, როგორც წესი, ნაკლებია PM₁₀-ის კონცენტრაციებზე, მაგრამ მათი ცვლილების მრუდის ხასიათი თითქმის ყოველთვის ერთნაირია.

შესწავლილი მიკროაეროზოლების კონცენტრაციების მაქსიმალური მნიშვნელობები თითქმის ყოველთვის აღემატება შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს (ზღვ).

ქ.რუსთავში PM-ნაწილაკების კონცენტრაციების საათობრივი ცვლილების ტრენდი განსხვავებულია ქ.თბილისში მიღებული შედეგისაგან, ვინაიდან ავტოტრანსპორტის ინტენსივობას, ამ შემთხვევაში, ემატება ქარხნების მუშაობის ინტენსივობაც. შესაბამისად, დღის განმავლობაში კონცენტრაციების მაქსიმუმები დროის სხვადასხვა ინტერვალში ვლინდება.

ექსპერიმენტალურმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ქ.რუსთავში PM ნაწილაკების კონცენტრაციების ზრდას განაპირობებს, როგორც ავტოტრანსპორტი, ასევე არსებული ქარხნების გამონაბოლქვი და მეტეოროლოგიური პირობები.

მადლიერება. სამუშაო შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის YS-21-132 დაფინანსებით.

ლიტერატურა

1. ნ. გიგაური, ს. მდივანი, ვ. კუხალაშვილი, ა. სურმავა, ლ. ინჭკირველი. ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის PM ნაწილაკებით დაბინძურების გამოკვლევა // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი შრომათა კრებული, 2020. No. 129, გვ. 59-66.
2. ნ. გიგაური, ვ. კუხალაშვილი, ა. სურმავა, ლ. ინჭკირველი, მ. ფიფია. ქ. თბილისის ატმოსფეროში PM₁₀ და PM_{2.5}-ის კონცენტრაციების სივრცული განაწილება რეგულარული დაკვირვებისა და მარშრუტული გაზომვების მონაცემების მიხედვით // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი შრომათა კრებული, 2021, No. 131, გვ. 44-50.

EVALUATION OF THE CONTENT OF MICROPARTICLES IN THE ATMOSPHERE OF RUSTAVI BY EXPERIMENTAL MEASUREMENTS

Gigauri N., Pipia M., Beglarashvili N., Mdivani S.

Institute of Hydrometeorology of Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

Abstract. *The study showed, that in the atmosphere of the Rustavi city, the concentrations of PM_{2.5} are usually lower than the concentrations of PM₁₀, but the character of their change curve in the atmosphere of the city is almost always the same.*

The maximum values of the concentrations of the studied micro particles almost always exceed the values of the corresponding maximum allowable concentration.

The trend of hourly change of PM-particles concentrations in Rustavi differs from the results obtained in Tbilisi, since the content of micro particles in the atmosphere of the city of Rustavi is affected not only by the traffic intensity, but also by the mode of operation of industrial enterprises. As a result, their maximum content in the atmosphere of the city of Rustavi is observed in any interval of the day. Experimental measurements have shown that the tendency to increase the content of PM-particles in the atmosphere of the city of Rustavi determines both the flow of vehicles and emissions from industrial enterprises and meteorological conditions.

Key words: *atmosphere, pollution, microparticles, road transport*

ქ. რუსთავის ატმოსფეროს მიკრონაწილაკებით დაჭუჭყიანების შეფასება რიცხვითი მოდელირებით

*გიგაური ნ., **სურმავა ა.

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
"ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ.ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი*

ანოტაცია. რიცხვითი მოდელირებით გამოკვლეულია ქ.რუსთავის ატმოსფერულ ჰაერში გაბნეული მიკრონაწილაკების ცვლილების კინემატიკა აღმოსავლეთის ფონური სუსტი და ძლიერი ქარების დროს. მოდელირებით მიღებულია კონცენტრაციების მნიშვნელობები, რომლებიც რეგულარული დაკვირვებებით მიღებული სიდიდეების ფარგლებშია. ქარის სიჩქარისა და კონცენტრაციის ველების ანალიზით დადგენილია, რომ ძლიერად დამტვერიანებული არეების სივრცული განაწილება დამოკიდებულია, როგორც წარმოქმნილი მიკრონაწილაკების კონცენტრაციაზე, ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობაზე, ავტომაგისტრალების მდებარეობაზე, ასევე ქარის სიჩქარესა და მიმართულებაზე. კონცენტრაციისა და ქარის სიჩქარის სივრცული განაწილების სურათების ერთმანეთთან შედარება გვიჩვენებს, რომ ფონური ძლიერი ქარის დროს ნაწილაკების ადვექციურ გადატანას გააჩნია დომინანტი როლი დაბინძურების გავრცელების პროცესში.


საკვანძო სიტყვები: ატმოსფერო, დაჭუჭყიანება, მიკრონაწილაკები, ფონური ქარი, რიცხვითი მოდელირება

შესავალი.

ქ. რუსთავი - საქართველოს ინდუსტრიული ცენტრი მდებარეობს ქ. თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით 27 კმ მანძილზე. მისი მოსახლეობა აღემატება 138 ათას კაცს. ქ. რუსთავი განლაგებულია მდ. მტკვრის ორივე მხარეს და აქვს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმართული მართკუთხედის მსგავსი ფორმა (ნახ.1). მისი ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი უკავია საცხოვრებელ კვარტლებსა და ადმინისტრაციულ ობიექტებს. სამრეწველო ობიექტები ძირითადად განლაგებული აღმოსავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში. ქალაქში ფუნქციონირებს მეტალურგიული, ქიმიური, საშენ მასალათა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები. ქალაქს ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან გარს უვლის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა - „თბილისი-წითელი ხიდი“, იგი ასევე, დასერილია რამდენიმე გასწვრივი და მართობული ფართო ავტომაგისტრალებითა და მცირე ქუჩებით. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემების (<https://air.gov.ge/>)[1] თანახმად ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის მიკროაეროზოლებით PM2.5 და PM10 დაბინძურების დონე ხშირ შემთხვევაში აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. დაბინძურების ძირითად წყაროებს წარმოადგენს სამრეწველო საწარმოები, რომლებიც განლაგებულნი არიან ქალაქის სამხრეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებში და ავტოტრანსპორტი.

ამოცანის დასმა.

PM2.5 და PM10 ადამიანის ჯანმრთელობის საშიშროებიდან გამომდინარე, ატმოსფეროში მიკროაეროზოლების კონცენტრაციის შესწავლასა და ჰაერის დაცვის ღონისძიების დამუშავებას დიდი სამედიცინო და ეკოლოგიური მნიშვნელობა გააჩნია. წარმოდგენილ ნაშრომში, რიცხვითი მოდელირებით შეისწავლება ქ. რუსთავში წარმოქმნილი PM2.5-ის გავრცელება მიმდებარე ტერიტორიაზე ფონური აღმოსავლეთის სუსტი და ძლიერი ქარების დროს. მოდელირება განხორციელებულია 118×91×31 რიცხვით ბადეზე 1000 მ ჰორიზონტალური ბიჯებით და 1/31 განუზომადი ვერტიკალური ბიჯებით. ატმოსფეროს სასაზღვრო ფენასა და თავისუფალ ატმოსფეროში ვერტიკალური ბიჯი შეესაბამება დაახლოებით 300 მ-ს. ატმოსფეროს ქვედა 100 მ სისქის მიწისპირა ფენაში აღებულია 17 ვერტიკალური ბადური წერტილი, ხოლო ბიჯი იცვლება 0.5–დან 15 მ-მდე. მოდელირებისას დაშვებულია, რომ ქ. რუსთავის ტერიტორიაზე PM2.5-ის კონცენტრაცია დროში მუდმივია, მაქსიმალურია და ტოლია 50 მკგ/მ³-ის.



ნახ.1. მოდელირების არის რელიეფის სიმაღლე (მ) და დაბინძურების წყაროს მდებარეობა.


ნახ. 1 –დან ჩანს, რომ ქ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორიის რელიეფი არის რთული და მისი სიმაღლე იცვლება 370–დან 1400 მ-მდე. რიცხვითი გამოთვლები მიმდინარეობდა 3 დღის ინტერვალისათვის. გამოთვლებმა აჩვენა, რომ დამაბინძურებელი ინგრედიენტის გავრცელება მიმდინარეობს კვაზიპერიოდულად, პერიოდით 24 სთ.

მოდელირების შედეგები.

